



## თსუ სპეციალური ჩილდოს მფლობელი გახდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური ჩილდოს მფლობელი გახდა „2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“. ჩილდოს მფლობელი გახდა „2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“.

ლოში 2010-2015 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის ძირითადი გენდერები და გამოწვევები. სხვა საჯარო უწყებებთან ერთად, გამოვიდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები. კვლევის თანახმად, მნიშვნელოვნად გაუზარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი. 2012-2013 წლებში თსუს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იყო 62,5%, 2013-2014 წლებში – 89,2% ხოლო 2014-2015 წლებში ეს მაჩვენებელი უკვე 100% გახდა.



## თსუ სტუდენტები DP World-ის გამოფენაზე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სტუდენტები, InGlove-ის გუნდის წევრებმა, გიორგი მუხეშელიძემ და სიმონ ინვიამ მონაწილეობა მიიღეს არაბეთის გაერთიანებულ საემირატებში, ღუბაი მოლში DP World-ის საერთაშორისო ტექნოლოგიურ გამოფენაზე, რომელიც 24 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე იმართებოდა.

გვ. 3

## თსუ – რეგიონის ლიდერი უნივერსიტეტი საერთაშორისო რანჰირების სისტემების მიხედვით



2015 წელი უნივერსიტეტის საინტერესო წელი აღმოჩნდა საერთაშორისო რანჰირების სისტემებში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. ეს სისტემები ქმნიან წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რამდენად განვითარებულია უნივერსიტეტი, რამდენად შეესაბამება საერთაშორისო აღიარებულ საგანმანათლებლო სტანდარტებს სწავლა და კვლევა აქ და რა ადგილი უკავია მას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

რამდენიმე მონაცემი 2015 წლის შედეგებიდან:

2015 წლის მარტის მონაცემებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური

აქტივობით უნივერსიტეტების რანჰირების (University Ranking by Academic Performance (URAP)) რეგიონებში მსოფლიო 1000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა და 985-ე ადგილი დაიკავა. შესაბამისი სერტიფიკატი უნივერსიტეტმა საორგანიზაციო კომიტეტისგან მიიღო. რეგიონების მიხედვით, ცალკეულ კვლევით მიმართულებებში თსუ კიდევ უფრო შთანთქმავს შედეგს აჩვენებს. ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით თსუ 175-ე ადგილზეა, ხოლო მათემატიკურ მეცნიერებებში კი 387-ე ადგილზე. URAP-ის რეგიონებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოდან ერთადერთი და კავკასიაში ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ამჟამინდელი მონაცემების თანახმად, მსოფლიო

გაგრძელება გვ. 2 გვ.

## სიახლეები თსუ უწყვეტი განათლების ცენტრისგან

თსუ უწყვეტი განათლების ცენტრს ბევრი საინტერესო და ახალი პროექტი აქვს, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ აუდიტორიაზე გათვლილი. კიდევ უფრო იზრდება პროექტებში ჩართვის მსურველთა გეოგრაფიული არეალიც, რადგან სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებს სასურველ პროექტში ჩართვა უკვე თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებითაც შეუძლიათ. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა პროექტი ვიქტორინა „მეცნიერების თსუ 2015-2016“ გახლავთ. მისი შესარჩევი გური, მეოთხედწილი და ნახევარწილი თნილი ჩაგარდა, ფინალი კი თსუ-ში შედგება.

გვ. 3

## მდინარე რიონის აუზში ბუნებრივი კვალი მდინარე-პოპულარიზაცია



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში ბუნებრივი კვალი მდინარე-პოპულარიზაცია 2015 წელს დაფინანსებულ პროექტზე მუშაობისას თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ბევრი საინტერესო და უნიკალური ბუნებრივი ღირსეულობები აღიარეს. ამ ადგილების თუნდაც გურისგული თვალსაზრისით გამოყენების პერსპექტივა ძალზე დიდია და შესაძლოა რეგიონის მდგრადი განვითარების საფუძველიც კი გახდეს.

გვ. 4

## თსუ-ს 2015 წელი

2015 წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის არაერთი მნიშვნელოვანი მიღწევით და შედეგით აღინიშნა. საერთაშორისო რანჰირების სისტემებში დაწინაურების გარდა, წლის გადახედვის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტს გამოვიყენოთ: 2015 წლის ბაზრული ისტორიაში შესაძლოა საინტერესო სამეცნიერო თარიღად შევიღეს თსუ მეცნიერთა და სტუდენტთა უნიკალური აღმოჩენის წყალობით – თსუ არქეოლოგიური ექსპედიციების გეოგრაფიაზე, გრაფიკის

გორამე (კასპის რაიონი) აღმოჩენილი ახალი არქეოლოგიური ძეგლები, მეცნიერთა აზრით, შეცვლის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი უნიკალური წარწერა სრულიად გამორჩეული, ინდივიდუალური დამწერლობის მიეკუთვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგები არ აქვს. გრაფიკის გორამე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

მიღწეული ძეგლი. VII საუკუნის გაძარი ორი საკურთხეველი. საკურთხეველის ორივე პოსტამენტზე იკითხება ჯერჯერობით უცნობი დამწერლობის გეგმა. ახალი აღმოჩენით დასტურდება, რომ 2700 წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე დამწერლობა გამოიყენებოდა. ამ ფაქტმა და ადრე აღმოჩენილი მასალებმა, შესაძლოა, ძეგ. VII-VI საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ისტორიული ცნობებიც შეცვალოს. გრაფიკის გორამე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

გაგრძელება გვ. 3 გვ.

## „ისწავლე ქართული“ თსუ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად

თსუ თანამშრომელი ქეთევან გაბოშვილი კვირაში ორჯერ თბილისიდან გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალარში პროექტში „ისწავლე ქართული“ ფარგლებში გაკვეთილების ჩასატარებლად მიდის. ის პროექტის ახალგაზრდა მასწავლებელია. აქ მას სოფლის სკოლაში, რომელიც გაშენდა ამ პროგრამის ფარგლებში გამოუყო, 26 მოსწავლე ელოდება. მოსწავლეთა ასაკი 18-დან 50 წლამდე მერყეობს. ისინი აქ ქართული ენის შესასწავლად ან გასაუმჯობესებლად მოდიან. მასწავლებელი ამბობს, რომ მისი



გაგრძელება გვ. 3 გვ.

### ოს უნივერსიტეტი უნივერსიტეტში

ვარშავის უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ მარტინ პალისის მოწვევით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვია ვარშავის უნივერსიტეტს. ვიზიტის ფარგლებში განხილული იყო თსუ-სა და ვარშავის უნივერსიტეტს შორის სამომავლო თანამშრომლობის ფორმატი, უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები. თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, თსუ რექტორის მოადგილეებმა პროფესორმა იოსებ სალუქვაძემ და პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ მთავარ კოლეგებთან ერთად განიხილეს პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო და სასწავლო სფეროში თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობა. თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე დასახელება ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, ეკონომიკა, გეოგრაფია.

ვიზიტის ფარგლებში, ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, თსუ რექტორმა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ წაიკითხა საჯარო ლექცია. ლექციის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

თსუ დელეგაცია ეწვია ვარშავის უნივერსიტეტის ახალი გენერაციის ცენტრს, რომელიც წარმოადგენს ინტერდისციპლინარ საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებას. ახალი გენერაციის ცენტრის სამეცნიერო წრეებთან შეხვედრის შემდეგ, თსუ დელეგაციის წევრებმა მიიღეს თანამედროვე გენიკით აღჭურვილი სამეცნიერო ლაბორატორიები.

ვიზიტის ფარგლებში, თსუ დელეგაცია ეწვია ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრს. შეხვედრის დროს გამოითქვა ინიციატივა ერთობლივი კვლევითი სტაპინდის დაწესებასთან დაკავშირებით. შეხვედრის შემდეგ გაიმართა დოქტორ დავით ყოლბაძის წინასწარი პრეზენტაცია. თსუ რექტორმა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ სიტყვით მიმართა დამსწრე სამოგალობებს და ქართველ მეცნიერებს წარმოუხაზა მთელი რიგი საზღვარგარეთის სამეცნიერო კავშირების შესახებ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორების, მათ შორის, წმ. გრიგოლ ფერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

შეხვედრებს ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი.



თსუ დელეგაციის წევრები ვარშავის უნივერსიტეტში.

### თსუ – რეგიონის ლიდერი უნივერსიტეტი საერთაშორისო რანჰირებების სისტემაში

#### პირველი გვირგვინი


თსუ 23887 უნივერსიტეტს შორის თსუ საუკეთესო 5%-ში, ხოლო ევროპის 4000 უნივერსიტეტიდან საუკეთესო – 10%-შია. ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით უნივერსიტეტებს შორის თსუ იკავებს მეშვიდე პოზიციას ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გარგუს, სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო, ვილნიუსის, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო და მოსკოვის საინჟინრო ფიზიკის უნივერსიტეტების შემდეგ. URAP-ის რეიტინგით თსუ-ს აკადემიური აქტივობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო 5 წლის მანძილზე. 2011-2012 წლებში თსუ 1600-ე, 2012-2013 წლებში – 1394-ე, ხოლო 2013-2014 წლებში – 1066-ე ადგილს იკავებდა.

შეგახსენებთ, რომ URAP, როგორც კვლევითი ლაბორატორია 2009 წელს შეიქმნა ახლო აღმოსავლეთის გენერალური უნივერსიტეტის ინფორმაციის ინსტიტუტში. მისი მთავარი ამოცანა მსოფლიო უნივერსიტეტების რანჰირების სისტემის შექმნაა, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტების აკადემიურ აქტივობას სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხით და რაოდენობით. 2010 წლიდან URAP-ი ყოველწლიურად აქვეყნებს 2000 საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის მსოფლიო რეიტინგს. URAP-ის 2014-2015 წლების მსოფლიო რეიტინგი ეფუძნება აკადემიური აქტივობის 6 ინდიკატორს, მათ შორის პუბლიკაციების ხარისხსა და რაოდენობას, ციტირების ინდექსს, ასევე საერთაშორისო კვლევით კოლაბორაციას.

2015 წლის სექტემბრის მონაცემებით კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიცია მსოფლიო უნივერსიტეტების უკვე სხვა – [www.webometrics.info](http://www.webometrics.info)-ს რანჰირების სისტემაში თსუ-მ მსოფლიოს 24 ათასამდე უნივერსიტეტს შორის 2006-დან 830-ე ადგილზე, ევროპის უნივერსიტეტებს შორის 714-დან 349-ე ადგილზე გადაინაცვლა. თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტი პირველია საქართველოსა და კავკასიის რეგიონში. [www.webometrics.info](http://www.webometrics.info)-ს რანჰირებით, კავკასიის რეგიონიდან სომხეთის საუკეთესო უნივერსიტეტი მხოლოდ 2628-ე ადგილს, ამერბაიჯანის საუკეთესო უნივერსიტეტი კი 6405-ე ადგილს იკავებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო უნივერსიტეტების ვებრანჰირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაცია Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIS)-ის ლაბორატორიის Cybermetrics Lab ინიციატივით ხორციელდება. ორგანიზაცია ესპანეთის მასშტაბით 126 ცენტრს და ინსტიტუტს აერთიანებს. უნივერსიტეტების რანჰირებისას ორგანიზაცია ითვალისწინებს სხვა ვებგვერდებიდან მინიმუმბის მაჩვენებელს (Google, Yahoo, Live Search, Exalead), უნივერსიტეტის ვებგვერდის შიგნით გვერდების რაოდენობას, მასზე სრულყოფილ გვერდების რაოდენობას, ვებგვერდზე განთავსებული სამეცნიერო სტატიების და მათი ციტირების რაოდენობას. კვლევაში საქართველოს 64 უნივერსიტეტია ჩართული.

2015 წლის ოქტომბერში კვლევა ერთი რანჰირების სისტემის შედეგები გახდა ცნობილი. ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია მთავარი რეიტინგის საერთაშორისო რანჰირების სისტემაში. კერძოდ, მიმართულებების მიხედვით რანჰირებაში ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით თსუ 187-ე ადგილზეა მსოფლიოს 248 უნივერსიტეტებს შორის; საქართველოს უნივერსიტეტებიდან თსუ ერთადერთია, რომლის პროფილი განთავსებულია გომსონ როიგერის საერთაშორისო რანჰირების სისტემის ვებ-გვერდზე. გომსონ როიგერის საერთაშორისო რანჰირების სისტემა, რომელმაც 2015 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა უნივერსიტეტების რანჰირების შედეგები, მიმართულებების მიხედვით რანჰირებისას ძირითადად ბიბლიომეტრიულ მონაცემებსა და ციტირების ინდექსს ეყრდნობოდა.



თსუ-სთან ერთად მსოფლიოს 45 უნივერსიტეტი ვერ მოხვდა უნივერსიტეტების საერთო რანჰირებაში (750 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის), მაგრამ მოხვდა მიმართულების მიხედვით რანჰირებაში. შეგახსენებთ, რომ გომსონ როიგერი არის მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო წყარო, რომლის პროექტი „საერთაშორისო ინსტიტუციური პროფილი“ ქმნის მსოფლიოს კვლევითი ინსტიტუტების მუსგ და ამომწურავ პროფილს.

## სიახლეები თსუ უწყვეტი განათლების სისტემაში

თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის ბევრი საინტერესო და ახალი პროექტი აქვს, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდებზეა გათვლილი. კიდევ უფრო იზრდება პროექტებში ჩართვის მსურველთა გეოგრაფიული არეალიც, რადგან სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებს სასურველ პროექტში ჩართვა უკვე თანამედროვე გენერაციის სტუდენტების სარეკლამო-თაქ შეუძლიათ. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა პროექტი ვიქტორინა „მეცნიერების თასზე 2015-2016“ გახლავთ. მისი შესარჩევი გური, მეთოდურად და ნახევარწლიური ონლაინ ჩატარდება, ფინალი კი თსუ-ში შედგება.

ლეებს პასუხი 24 კითხვაზე უნდა გაეცათ. აქედან 3-3 შეკითხვა მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგებიდან (მათემატიკა, ფიზიკა, ელექტრონიკა, ქიმიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია და გეოლოგია) იყო, ხოლო 3 კითხვა კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ. ვიქტორინა ფაკულტეტებზე 2012 წლიდან გარდებდა და როგორც თბილისის, ისე რეგიონების მოსწავლეებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ვიქტორინის წყევანდელი სიახლე შესარჩევი გურის ონლაინ რეჟიმში ჩატარება იყო, რომელიც გენერალური პროექტის – ARMAZEG-ის მხარდაჭერით განხორციელდა, რაც თანამედროვე გენერაციისთვის ფართოდ დაწვრილებულია. თსუ-ს უნივერსიტეტის ფარგლებში დაწესდა საქმედების შემსრულებელი „ლია წინასწარ“ პრინციპს დაეფუძნა. კონკურსში მონაწილე სტუდენტების გუნდებს წინადაწინ, ონლაინ მიეწოდათ სავარჯიშო გვანდები, რათა მოსწავლეობისთვის უცხო ბარ ყოფილიყო ონლაინ გვერდის სავარჯიშო გვანდების სწრაფად გასაცემად მომზადებულიყო. აქედან გამომდინარე, „მეცნიერების თასზე“ მუსგ და საბუნებისმეტყველო დარგების პოპულარიზაციასთან ერთად საგანმანათლებლო ფუნქციაც შეითავსა. შე-

სარჩევი გური წარმატებული 40 სკოლის იმ გუნდების მონაწილეობით თბილისში ჩატარდა, რომლებმაც 12 - მე მეგ შეკითხვას სწორად უპასუხეს და მეოთხედენაშლი გავიდნენ. აქედან 39 გუნდმა 24 ქულიდან 12 – მე მაღალი ქული მიიღო შესაძლო. სოფელ მუხრანში საშუალო სკოლის გუნდმა კი მეოთხედენაშლი მონაწილეობის უფლება სავარჯიშო გვერდში მიიღო. ბონუს ქულებით მონაწილე მომდევნო გური ასევე ონლაინ რეჟიმში დეკემბერში ჩატარდება.

უწყვეტი განათლების ცენტრის აბიგურდითაა მოსამზადებელი განყოფილება და „საბავშვო უნივერსიტეტი“ ერთობლივად შეიმუშავეს რეგიონების სკოლებში აბიგურდის პრექტი. მის ფარგლებში მოსამზადებელი განყოფილების თანამშრომლების ჯგუფი უსასყიდლოდ, ადგილზე უწყვეტ დახმარებას სასკოლო ძირითადი საგნების შედარებით. პირველი ასეთი კონსულტაცია 14-15 დეკემბერს, ქ. ლანჩხუთის მე-3 საჯარო სკოლაში ჩატარდა. საბავშვო უწყვეტი განათლების ცენტრის მსგავსი დახმარების გეგმარაფის გაზრდას და ასევე, კონსულტაციების დისკონკურსი მეთოდით - ონლაინ

ჩატარებას გეგმავს. თსუ უწყვეტი განათლების ცენტრი 23 ნოემბრიდან თსუ დეპარტამენტისა და მაგისტრანტებისთვის ექსპერიმენტულ კურსს „მეცნიერება და ინტერკულტურული კომუნიკაცია გერმანიაში“ ახორციელებს. კურსს ბოშის ფონდის ლექტორი ქრისტინა რიხგერი უძღვება და განკუთვნილია მათთვის ვინც გერმანულ ენაზე საუბრობს, სწავლის ან კვლევის გაგრძელებას გერმანიაში გეგმავს, ან უბრალოდ მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას აპირებს გერმანულ სამეცნიერო წრეებთან. აღსანიშნავია, რომ კურსის აქტიური საინფორმაციო მხარდაჭერა გერმანიის საელჩო საქართველოში.

კურსის განმავლობაში მსმენელები სრულიად უფასოდ გაიღრმავებენ სპეციფიკურ აკადემიურ თემაზე, გერმანულად კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, მიიღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას გერმანიაში აკადემიური ცხოვრებისა და სალოტორო კვლევის გაგრძელების შესახებ. კურსის ძირითადი სადისკუსიო თემაა: გერმანულ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. კურსის მიზანმიმართულად გაგროვებული თემატაა „საბავშვო უნივერსიტეტი“ პროექტებში სისტემატური მონაწილეობა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რად-

# ოსუ-ს 2015 წელი

პირველი გვერდიდან



გრაკლიანის უნიკალური აღმოჩენა 2015 წელს ოსუ-ს მნიშვნელოვან სიახლეებს შორისაა

გეგმის არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს, სადაც ოსუ სტუდენტებისთვის სამეცნიერო-საველე პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა. წლის დასაწყისში გრაკლიან ვორას ეროვნული კაცობრიის მეგლის სტაგუსი მიენიჭა.

მნიშვნელოვანი იყო, რომ ოსუ-ს სამეცნიერო ინსტიტუტის შურნალი Elsevier-ის ბაზაში შევიდა. გასულ წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა საქართველოში გამოცემული შურნალის Elsevier-ის ბაზაში განსაზღვრულად კონკურსი გამოაცხადა. ამ კონკურსში მონაწილეობას 50-ზე მეტი შურნალი იღებდა, რომელთაგანაც ფონდმა 8 შეარჩია. Elsevier-ის მიერ ამ რვა შურნალიდან გამოირჩეულ იქნა ორი და მათგან ერთ-ერთი „ანდრია რამზაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ აღმოჩნდა. 2016 წლიდან ეს შურნალი გამოიცემა სახელწოდებით „Transactions of A.Razmadze Mathematical Institute“, მისი პირველი გამოცემა იქნება შურნალის 170-ე გომი, რომელიც მისი წინამორბედის გომების ნუმერაციას გააგრძელებს. „Transactions of A.Razmadze Mathematical Institute“ ნიკო მუსხელიშვილის მიერ 1937 წელს დაარსებული მათემატიკური შურნალის გაგრძელებაა, რომელსაც 1947 წლის ჩათვლით ჰქონდა დასახელება ფრანგულ ენაზე: Travaux de L'Institute

Mathematicae Tbilisi, გ. 1-15 (1937-1947). Elsevier-ის ბაზაში შურნალის განთავსებასთან დაკავშირებით გადახალისდა სარედაქციო კოლეგია. დაცულია ბალანსი უცხოელი და ქართველი გამომცემლების (Editors) რიცხოვნობას შორის. გამომცემლების შემადგენლობა წარმოადგენს ორ ნაწილად: გამომცემლები, ისინი მხოლოდ უცხოელები არიან. მათი ციგირების H-ინდექსი Scopus-ის მიხედვით მერყეობს 12-დან 17-მდე, ასევე მაღალია ასოცირებული გამომცემლების (Associate Editors) რეიტიგები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საერთაშორისო დონეზე მორიგ წარმატებას კიდევ ერთი მიმართულებით მიაღწია – ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) მიერ ორგანიზებულ რომის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საუკეთესო კვლევით ცენტრებს შორის მეორე ადგილი მიენიჭა.

2015 წლიდან ოსუ ერთადერთი ქართულ უნივერსიტეტია რომლის ერთობლივ (ოსუ-შპაიერის (გერმანია) აღმინისტრაციული მეცნიერებათა უნივერსიტეტის) საზღვარგარეთ პოგრამას (საჯარო მმართველობა) ხუთი წლის ვადით მიენიჭა

საერთაშორისო აკრედიტაცია. ხოლო ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიამ (IABE) ოსუ-ს მსოფლიოში საუკეთესო კვლევით ცენტრებს შორის მეორე ადგილი მიენიჭა. 2015 წელს ოსუ აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური ხარისხის მინიჭებული მინიმალური სტანდარტები. ეს სტანდარტი საკმაოდ მომთხოვნია, სადაც გათვალისწინებულია მეცნიერის მუშაობის შეფასება პუბლიკაციებით, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, საერთაშორისო გრანტების მოპოვებით. ამ სტანდარტის დასაკმაყოფილებლად პროფესორებს დრო 2017 წლის 1 იანვრამდე მიეცათ. გასულ წელს მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამების განსახორციელებლად თითოეულ ფაკულტეტს მიეცა დამატებით 75000 ლარი, რომ შეერჩიათ საინტელექტუალური პროგრამები. სულ შეირჩა 7 ფაკულტეტზე 62 პროგრამა, რომელშიც ჩართულია ბაკალავრიატის საფეხურის 104 სტუდენტი, 50 მაგისტრანტი და 75 დოქტორანტი, ანუ სულ 200-ზე მეტი სტუდენტი; 2015 წელს დაფუძნდა ახალ სასწავლო კურსი – ანტიკური გეოგრაფიის ციფრული რეკონსტრუქციის კონსტრუქციები, რომელშიც ოსუ-სთან ერთად პარეარდის, ლიონის, სან-პაოლოს, ლაიპციგის და სხვა უნივერსიტეტებია გაერთიანებული. წელს აშშ-ის საელჩოს დახმარებით, შემუშავდა შესაძლებლობების მქონე პირთა საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, უნივერსიტეტში შეიქმნა აუდიოვიზუალური, სადაც, სტუდენტების დახმარებით, მზადდება სახელმძღვანელოების აუდიოვიზუალური. პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, უნივერსიტეტში ამოქმედდა დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა – შეიძლება ფაკულტეტებიდან 5-5 საუკეთესო დოქტორანტის სწავლის საფასურს უნივერსიტეტი დაფარავს.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ სიახლეებისა, რომლითაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2015 წელი აღინიშნა. ცხადია ერთ სტაგიაში ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა ვერ მოხვდა, რომლებშიც მომავალ წელს აუცილებლად გვექნება საუბარი, რათა მათი შედეგების შესაჯამებლად.

# ოსუ სტუდენტები DP World-ის გამოფენაზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტებმა, InGlove-ის გუნდის წევრებმა, გიორგი მეშველიანმა და სიმონ ინვიამ მონაწილეობა მიიღეს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, ლუბაიში მოღმე DP World-ის საერთაშორისო გეოლოგიურ გამოფენაზე, რომელიც 24 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე იმართებოდა.

სტუდენტებმა ინტერაქტიული ხელთათმანი მეგობრებთან – თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებთან გიორგი გაბაბაშვილთან და დიმიტრი ცხოვერებაძესთან ერთად შექმნეს. ვირტუალური ხელთათმანის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ვირტუალური რეალობაში ვირტუალური ობიექტების მართვა და შეგრძნება. ახალგაზრდა გამომგონებლებს კომპაროვის სკოლა აერთიანებს. სხვადასხვა ერთობლივ პროექტებზე ჯერ კიდევ სკოლიდანვე დაიწყეს მუშაობა.

გამოფენის შემდეგ სტუდენტები ეწვევიან ოსუ-ს პროფესორ ლაშა ეფრემიძეს ნიუიორკის აბუდაბის უნივერსიტეტში სადაც მათ წარუდგინეს მათი პროექტი, ინტერაქტიული ხელთათმანი როგორც პროფესორს,

ასევე მათ კოლეგებს. გამოგონებები ინტერაქტიული ხელთათმანის გამოყენებამდე დიდი მოწონება დაიმსახურა და გუნდმა შეიძინა ახალი პარტნიორები.

როგორც გიორგი მეშველიანი განმარტავს, მათი გამოგონების შექმნა დაახლოებით 150 დღის მანძილზე დაჯდა. უკვე არსებული, მსგავსი გიგანტური ხელთათმანისაგან კი იგი იმით განსხვავდება, რომ ამ გამოგონების საშუალებით აღამიანებს შეეძლებათ მაქსიმალურად იგრძნონ თავად ვირტუალური ობიექტები და ასევე მათი სიმკვრივე და გემპერატურაც. მეორეკურსული გიორგი მეშველიანი და პირველკურსული სიმონ ინვია თავის მეგობრებთან ერთად ხელთათმანის სხვადასხვა გამოყენებასა და კონკურსებში წარმოდგენის პარალელურად მის უფრო დახვეწულ მოდელებზეც მუშაობენ.

როგორც ახალგაზრდები აცხადებენ, აღნიშნული პროექტი არის იღვის დემონსტრაციისთვის. ახლა კი საჭიროა ინტელსტრუქციის დიზაინის გაკეთება, რაც დამატებით ინვესტიციას საჭიროებს, რამაც, იმედოვნებენ, რომ ლუბაიში დამყარებული კონტაქტებიც დაეხმარებათ.



# „ისწავლე ქართული“ ოსუ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად

პირველი გვერდიდან

მთავარი მიზანია მოსწავლეებს ქართულად მეტყველების ბარიერი დაამღვინოს და ურთიერთობა როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ისე ქართველ მეზობლებთან გაუადვილოს. მოსწავლეების მთავარ მოტივაციას ის ენობრივი და მონღოლური კვებაა, რომლითაც მოსწავლეები სასწავლო პროცესში ერთვებიან.

მოსწავლეები თავისი მოტივაციის შესახებ უკვე ქართულად საუბრობენ.

„ჩემი შვილები ქართულ სკოლაში დადიან. ყოველთვის სარცხვილის გრძობა მეუფლებოდა, როცა მათ მოსწავლეობის ქართულად დალაპარაკება არ შეეძლო“. – ამბობს აიგუნ მამელოვა. განმარტავს, რომ ქართულად საუბარი სწორედ მათთან, ქართველ მეზობლებთან და მოგადად უფრო მეტად აღამიანთან ურთიერთობისთვის სჭირდება.

გამერლან მეხგივეი ამბობს, რომ სირცხვილია, როცა ერთი ქვეყნის მოქალაქეები ერთმანეთს მესამე ენაზე ულაპარაკებენ. „საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა ვიცოდეთ, მინიმალურად მაინც, იმ ქვეყნის ენა, რომელშიც ვცხოვრობთ“ – ამბობს იგი.

მართაბა გასანოვა ექიმია და მას ქართული სამსახურში ძალიან სჭრდება – ახალი სტანდარტების



თუ ახალი რეცეპტების გასაცნობად და ასათვისებლად.

დღეს ყველა მათგანი აქტიურად ჩაერთო ქართული ენის დაქირებული მეთოდით სწავლების საპილოტე საპროექტში პროგრამაში, რომელსაც „ვიწავლობ ქართული“ ჰქვია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ქართული ენის დაქირებული სწავლების საპილოტე პროგრამის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში ასოცირაციებენ. დამატებით ერთი საპილოტე პუნქტი გახსნილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. პროექტი სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილისთვისაა

განკუთვნილი, ვისაც ქართული ენის დაქირებულად შესწავლა სურს, მაგრამ საქართველოში დღესთვის ამ მიმართულებით არსებული პროგრამები მათთვის არ არის გათვალისწინებული ან გეოგრაფიულად მიუწვდომელია. დღეს საქართველოში მოქმედებს ქართული ენის შესწავლის შემდეგი პროგრამები: მოსწავლეთათვის ქართული ენის სწავლება საჯარო სკოლებში, საჯარო მოხელეთათვის ქართული ენის სპეციალური კურსები რაიონულ ცენტრებში განთავსებულ „ქართულ სახლებში“ და ა.შ. თუმცა, ისინი ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებენ. სწორედ ამიტომ განიზრახეს პროექტის ხელმძღვანელებმა

ოსუ-ს წარმომადგენლებმა ნიუიორკში და პროფესორმა ეკატერინე კობახიძემ ამ პროგრამის განხორციელება. პროექტი დასაფინანსებლად წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს, რომელმაც სრულად უზრუნველყო პროექტის განხორციელების ფინანსური მხარე. პროექტის მიმდინარეობაში აქტიურადაა ჩაბმული საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეთნიკური უმცირესობების საკითხში სოფიო შამანიდი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროექტის განხორციელებლას გაკვეთილების ჩასაგარებლად უსასყიდლოდ დაუთმო სკოლის შენობები. ამჯერად პროექტის უკვე მეორე ეტაპი დასრულდა. თითოეული ეტაპი 4 თვეს მოიცავს: პირველი თვე მსმენელთა მომზადება-დარეგისტრირებას, სასწავლო პუნქტების შერჩევა, სწავლების განრიგის შედგენა და სხვა ეთმობა, ხოლო უშუალოდ სწავლება 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობს და ითვალისწინებს დაქირებულ კურსს. სპეციალურად პროგრამისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო – „ქართული ენის დაქირებული კურსი“ (ავტორი – ოსუ ასოც. პროფესორი კახა ვაბუნიანი). სახელმძღვანელო ორი სხისაა – ერთი სომხურენოვანი მოსახლე-

ობისათვის (სომხური ლექსიკონითურთ), ხოლო მეორე – ამერბაიჯანული ენოვანი მოსახლეობისათვის (შესაბამისად – ამერბაიჯანული ლექსიკონითურთ).

პროექტით გათვალისწინებული სწავლებისათვის შეირჩნენ ოსუ პროფესორ-მასწავლებლები, ასევე ოსუ დოქტორანტები, რომელთაც უშუალოდ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. პროექტის მეორე ეტაპი სამი რეგიონის 60 სოფელში მიმდინარეობდა.

სამთვიანი კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელები გესტორებს გადაიან და მათ სპეციალური სერთიფიკატები გადაეცემათ.

პროექტის გაგრძელება შემდგომშიც იგეგმება. ავტორები ფიქრობენ რომ ასაკი აღარ უნდა შეიზღუდოს და მასში მონაწილეობის უფლება ყველას, მათ შორის – სკოლის მოსწავლეებსაც მიეცეთ. სავარაუდოდ პროგრამა გააძლიერდება, გაართულება და მას მეორე სამთვიანი საფეხურიც დაემატება. ნავარაუდევია პროგრამისთვის სამოქალაქო განათლების ელემენტების დამატებაც, რათა მისმა მონაწილეებმა უკეთ შეძლონ საკუთარი უფლებების და მოვალეობების რეალიზება საქართველოს სახელმწიფოში.

საინჟინერო სამეცნიერო სესია თსუ მაღალი ენერჯის ფიზიკის ინსტიტუტში

26 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ მაღალი ენერჯის ფიზიკის ინსტიტუტის საინჟინერო ღონისძიება და სამეცნიერო სესია გაიმართა.

ინსტიტუტის საინჟინერო ღონისძიებას დაესწრნენ სტუმრები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, რომელთაც ინსტიტუტს აკავშირებს სამეცნიერო კონტაქტი. საპატიო სტუმრები იყვნენ:

1. პროფ. პაეტო იენი, ექსპერიმენტული ატლასის ხელმძღვანელი 1996-წლიდან 2008 წლის ჩათვლით, რომელიც დღესაც უამრავი სამეცნიერო კომპიუტერული წყვეტილი, როგორც ცერნის ასევე მის გარეთ ევროპულ ორგანიზაციებში;
2. პროფ. ვლადიმერ კეკელიძე, თსუ კურსდამთავრებული, ამჟამად ქ. ლუბნის ერთერთი უდიდესი ლაბორატორიის (შეღობისთვის, დაახლოებით 8-10 საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტის გოლი) მაღალი ენერჯის ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორი;
3. პროფ. იოჰანა კუნო, ოსაკის უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის უფროსი;
4. პროფ. საგოში მიჰარა, KEK-ი იაპონია, COMET ექსპერიმენტის ხელმძღვანელი J-Park-ში;
5. პროფ. ანატოლი კულაკოვი, ქ. ლუბნა, ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის განყოფილების გამგე და სხვები.

ღონისძიებას ასევე დაესწრნენ ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრიდან (ქ. უენეცია, შვეიცარია), გერმანიის ქ. იულისის კვლევითი ცენტრიდან და სხვა.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში პროფესორ პაეტო იენს, ექსპერიმენტული ატლასის ხელმძღვანელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

თსუ მაღალი ენერჯის ფიზიკის ინსტიტუტი შეიქმნა 1980 წლის 9-ივნისს თბილისის სახ. უნივერსიტეტთან არსებულ მაღალი ენერჯის ბირთვული ფიზიკის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე.



თსუ – მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროექტის მონაწილე

აშშ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომლის პარტნიორი საქართველოში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს გეოქიურ უნივერსიტეტი, წელს პირველად მიიღო სტუმრები.

პროექტის, რომელიც ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის დაფინანსებით ხორციელდება, ფარგლებში თსუ-ში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა და სათანადოდ აღიჭურვა დაახლოებით 1,177 კვ.მ. ფართი. მოწყობილობები გეოლოგიური ალტრული კომპიუტერული ლაბორატორიები და სასწავლო აუდიტორიები. გაკეთდა ქიმიის ლაბორატორია შესაბამისი ვინტილაციითა და გამწოვი სისტემით, დამონტაჟდა სამხაპეები საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში გამოსაყენებლად. ლაბორატორიები აღიჭურვა საჭირო ხელსაწყოებითა და ავეჯით. თსუ-ში სულ დაგეგმილია 4,700 კვ.მ სასწავლო აუდიტორიებისა და გეოლოგიური და სამეცნიერო ლაბორატორიების გარემონტება და უახლესი გეოლოგიური ალტრული.

„მაიქროსოფტის“ ცენტრალური და ადმოსაველეთ რეგიონის გენერალური მენეჯერი თსუ-ში

8 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „მაიქროსოფტის“ ცენტრალური და ადმოსაველეთ რეგიონის გენერალურმა მენეჯერმა მაიკლ კოგელერმა (Michael Kogeler) თსუ სტუდენტებისთვის ლექცია-ვორკშოპი გამართა.

ღონისძიებაზე მაიკლ კოგელერმა ისაუბრა მაიქროსოფტის ხედვაზე, თანამედროვე ბიზნესის გამოწვევებზე, თუ როგორ ეხმარება გეოლოგია ადამიანებს და ორგანიზაციებს მეცხის მიწვევაში. ასევე ისაუბრა საკუთარ გამოცდილებასა და წარმატების ფორმულაზე.

სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაესვით კითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე, მათ შორის, რა კომპიუტერული იტხვის მაიქროსოფტი თანამშრომლის სამსახურში აყვანისას, როგორი ბიზნესსურთითობის მოდელი აქვს კომერციულ ფირმებთან, რა საგანმანათლებლო პროგრამები აქვს სტუდენტებისთვის, როგორ ეხმარება საგანმანათლებლო ინსტიტუტებს და კომერციულ თუ სამთავრობო ორგანიზაციებს გეოლოგიების საშუალებით ბიზნესპროცესების ეფექტურობის გასაზრდელად და ა.შ.

# მდინარე რიონის აუზში ბუნებრივი კეგლების შესწავლა-პრობლემის მონაწილეობა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში ბუნებრივი კეგლების შესწავლა-პრობლემის მონაწილეობა მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015 წელს დაფინანსებულ პროექტზე მუშაობისას თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ბევრი საინტერესო და უნიკალური ბუნებრივი ღირსეულობა აღმოაჩინეს. როგორც თსუ გეოგრაფიის აღნიშნულენ, ამ ადგილების თუნდაც გურისგული თვალსაზრისით გამოყენების პერსპექტივა ძალზე დიდია და შესაძლოა რეგიონის მდგრადი განვითარების საფუძველიც კი გახდეს.

თსუ-ს გეოგრაფიის დეპარტამენტიდან პროექტში ჩართული იყვნენ სტუდენტები: მაგისტრანტი მერი გუგუშვილი, ბაკალავრები: ერეკლე ჩახვაშვილი და თამარ ფილაური, პროექტის ხელმძღვანელია გეოგრაფიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ პროფესორი ვიორგი დვალაშვილი.

კვლევის ძირითად მიზანს ბუნების ძეგლების შესწავლა და მათი პოპულარიზაცია წარმოადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მდ. რიონის აუზი, სადაც ენდოგენური წარმოშობის რელიეფის ფორმები უხვადაა თავმოყრილი. თუმცა, მათი დიდი ნაწილი მხოლოდ სამეცნიერო წრეებისთვისაა ცნობილი. ნაწილს ბუნების ძეგლის სტატუსი კი არ აქვს, არადა მათი გურისგული მარშუტებში ჩასმა საინტერესო იქნება

პროექტის ფარგლებში მოპოვებული მასალა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდებზე გაუქველდება. მზადდება ასევე სამეცნიერო სტატიები სხვადასხვა ქვეყნის წამყვან ჟურნალებში გამოქვეყნებულად. მოპოვებული მასალის საბაზისური პროგრამა „გეომორფო-



გია, კარგოგრაფია და ლანდშაფტი დაგეგმარების“ მაგისტრანტი მერი გუგუშვილის სამაგისტრო ნაშრომშიც იქნება გამოყენებული და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაშიც. აქამდე უცნობი ბუნებრივი ძეგლების შესახებ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ინფორმაცია განთავსდება სახელმწიფო უნივერსიტეტის სახის მნიშვნელოვანი ბუნებრივი მემკვიდრეობის ბუნების ძეგლის სტატუსი მიენიჭოს. მოგვიერთი ბუნებრივი ღირსეულობა ბუნებრივი ძეგლი აღიარებული იქნება თსუ-ს მნიშვნელობის ობიექტად, თუმცა ეს ძეგლები მოგვიერთი აღამიანის უხეში ჩართვის შედეგად კარგად ბუნებრივი სილამამეს. მათ შეძლებისდაგვარად დასაცავად აუცილებელია მსგავსი სახის მნიშვნელოვანი ბუნებრივი მემკვიდრეობის ბუნების ძეგლის სტატუსი მიენიჭოს.

## მისია 2015 – ფინალური დავალება



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსის – „მისია 2015“ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც კონკურსანტებმა ფინალური დავალება მიიღეს. ექვს გუნდს პარტნიორი კომპანიის „თიბისი“ ბანკის ერთ-ერთი პროექტის „საბა“-ს ელექტრონული წიგნების სახლისთვის მარკეტინგული კამპანიის დაგეგმვა დაევა. დავალების შესრულებისთვის გუნდებს ერთი თვე მიეცათ. დავალების შესრულების პროცესში მონაწილეებისთვის სპეციალური გრენინგები და სემინარები გაიმართება, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლები ჩააგარებენ. ფინალისგები პროექტის დაგეგმვა, კვლევის ჩაგარებას, ანალიზსა და მართვას შეისწავლიან.

შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ სამუშაოს თიბისი ბანკი გადასცემს:

- I ადგილი - 2500 ლარი
- II ადგილი - 1500 ლარი
- III ადგილი - 1000 ლარი

თსუ-ს სტუდენტური კონკურსის მარკეტინგისა და პიარში - „მისია“ უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალი იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის მზადება. კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ გახდნენ კომპანიის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები, დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები, გაიმარჯვონ კონკურსში, მოიპოვონ ფულადი პრემია და განახორციელონ თავიანთი იდეები.